ფოტოკონკურსი **„ტურიზმი, მემკვიდრეობა და შემოქმედებითობა“**

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი (GACC), ევროპული ტურიზმის კულტურული ინსტიტუტი (Eureka NPO), ქ.მიკოლაივის განვითარების ფონდი (FDM) და სტუდია „არტისტი“ აცხადებენ საერთაშორისო ფოტოკონკურსს თემაზე „ტურიზმი, მემკვიდრეობა და შემოქმედებითობა“.

ფოტოკონკურსი ემსახურება შავი ზღვის აუზის ქვეყნების და რეგიონების - საქართველოს, ბულგარეთში - დობრიჩის და უკრაინაში - მიკოლაივის ოლქის შემოქმედებითი ტურისტული ადგილების პოპულარიზაციას და ხორციელდება პროექტის „ტურიზმი, მემკვიდრეობა და შემოქმედებითობა“ ფარგლებში, რომლის მიზანიცაა შავი ზღვის აუზის რეგიონში მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული შემოქმედებითი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.

შემოქმედებითი ტურიზმის კონცეფცია განიმარტება, როგორც: „ტურიზმი, რომელიც ვიზიტორებს სთავაზობს შესაძლებლობას განავითარონ თავიანთი შემოქმედებითი პოტენციალი მასტერკლასებში აქტიური მონაწილეობის და სასწავლო გამოცდილების მეშვეობით, რომლებიც დამახასიათებელია დასასვენებელი ადგილისთვის, რომელსაც ისინი სტუმრობენ“. (რეიმონდი და რიჩარდსი, 2000). შემოქმედებითი ტურიზმი მიჩნეულია ტურიზმის ახალ მიმდინარეობად, რომელიც ტურისტული პროდუქტის შექმნის პროცესში რთავს თავად ტურისტებს და ადგილობრივ მოსახლეობას (თანაშემოქმედება). (შემოქმედებითი ტურიზმის ქსელი®)

პროექტი ტურიზმის, მემკვიდრეობა, შემოქმედებითობა (THC1130) დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ხორციელდება შავი ზღვის აუზის ქვეყნების ერთობლივი სამოქმედო პროგრამის მხარდაჭერით.

<u>კონკურსში მონაწილეობის პირობები:</u>

საკონკურსო ნამუშევრები უნდა ასახავდეს საქართველოს, ბულგარეთში - დობრიჩისა და უკრაინაში - მიკოლაევის ოლქის შემოქმედებითი ტურიზმის მიმართულებებს - მხატვრულ რეწვას, გასტრონომიასა და ღვინოს, სოციალურ პრაქტიკას, რიტუალებსა და სადღესასწაულო ღონისძიებებს, ფესტივალებს, საშემსრულებლო ხელოვნებას, ცოდნასა და პრაქტიკას ბუნებისა და სამყაროს შესახებ, არტ რეზიდენციებს და კულტურული ტურიზმის სხვა აქტივობებს. უპირატესობა მიენიჭება ფოტოებს, რომლებიც ასახავს არა მხოლოდ რეგიონის მდიდარ რესურსებს და ულამაზეს პეიზაჟებს, არამედ ტურისტებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ურთიერთქმედებას. გარდა ამისა, წარდგენილ ფოტოებმა შეიძლება ასახონ შავი ზღვა, როგორც ბუნებრივი კულტურული მემკვიდრეობის გამოხატულება.

- მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.
- საკონკურსო ფოტო გადაღებული უნდა იყოს კონკურსანტის მიერ.

- ერთი კონკურსანტის მიერ გადმოგზავნილი საკონკურსო ფოტოების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხუთს.
- კონკურსში მიიღება მობილური ტელეფონით გადაღებული ფოტოებიც.
- ფოტოები უნდა იყოს JPG ფორმატის და მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 5 მეგაბაიტს.
- სასურველია ფოტოები იყოს ჰორიზონტალური და ჰქონდეთ16:9 ასპექტის თანაფარდობა და 1920×1080 პიქსელის ზომა.
- საკონკურსო ფოტოები გამოგზავნილ უნდა იქნას შემდეგ მისამართზე: bsbphotocontest@gmail.com
- წერილში უნდა იყოს მითითებული ავტორის სახელი, გვარი, ელ-ფოსტა, მობილურის ნომერი, ფოტოს სათაური, ფოტოს შინაარსის მოკლე აღწერა, რომელიც აუცილებლად უნდა მოიცავდეს გადაღების ადგილსა და დროს.

საკონკურსო ნამუშევრების მიღება დასრულდება **2023 წლის 22 მაისს.**

გამარჯვებული ფოტოები დასახელდება **2023 წლის 30 მაისს.**

კონკურსი გამოავლენს 9 გამარჯვებულ ფოტოგრაფს (3 ყოველი ქვეყნიდან). გარდა ამისა, მიღებული ნამუშევრების რაოდენობის მიხედვით, შეიძლება შეირჩეს დამატებითი გამარჯვებული ფოტოები.

კონკურსში გამარჯვებულ ფოტოებზე ავტორი ინარჩუნებს საავტორო უფლებებს, თუმცა კონკურსში მონაწილეობით ისინი თანხმდებიან პროექტის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციებს მისცენ უფლება გამოიყენონ ისინი არაკომერციული მიზნებისთვის (საიტზე, ბანერზე, პოსტერზე, ფლაერზე და ა.შ.).

ფოტოები შეფასდება საკონკურსო თემასთან თანხვედრით, შემოქმედებითი ხედვით და მხატვრული ღირებულებით.

გამარჯვებული ფოტოები გამოქვეყნდება ვებ-გვერდზე: www.tourndo.com

კონკურსანტი პასუხისმგებელია ფოტოზე ასახული პირის, გარემოს ან ნამუშევრის გადაღების და გამოქვეყნების უფლებაზე.

კონკურსანტი კონკურსში მონაწილეობით ეთანხმება კონკურსის პირობებს.